ასოცირებული პროფესორი ვერა კაპეტივაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ასისტენტ-პროფესორი ნინო გეგეშიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა ჭაავა



ასისტენტ-პროფესორი მარინა ყუფარაძე

შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის დეპარტამენტი

შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის დეპარტამენტი სათავეს იღებს 1919 წლიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე 1919 წლის შემოდგომაზე გაიხსნა პირველი კლინიკური კათედრა - შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრა პროპედევტიკული კლინიკით, რომლის კათედრის გამგე იყო პროფესორი ალექსანდრე ალადაშვილი. ამავე წელს პარალელურად დაარსდა შინაგან სნეულებათა კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე. 1935 წელს აღნიშნული კათედრების შეერთების შედეგად შეიქმნა შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრა. სხვადასხვა დროს კათედრას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები: მიხეილ წინამძღვრიშვილი (1921-1926); შალვა მიქელაძე (1926-1938); ნიკოლოზ მახვილაძე (1938-1945); გრიგოლ დიდებულიძე (1945-1954); ვასილ ანდღულაძე (1954-1957); შიო გუგეშაშვილი (1957-1987); თეიმურაზ დიდებულიძე (1987-1994). 1994 წლიდან კათედრის (შემდეგ - დეპარტამენტის) ხელმძღვანელია პროფესორი რევაზ თაბუკაშვილი.

კათედრაზე ექიმებისა და სტუდენტებისათვის შეიქმნა და გამოიცა 4 სახელმძღვანელო, ასევე ინგლისურიდან ითარგმნა და გამოიცა 1 სახელმძღვანელო. კათედრაზე სამეცნიერო მომზადება გაიარა ქვეყნის მრავალმა გამოჩენილმა მეცნიერმა, რომელთა ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შემდგომში საფუძველი ჩაეყარა მრავალ სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებს, ასევე სხვადასხვა მიმართულებების თერაპიულ კათედრებს. კათედრაზე შესრულებულია 800-ზე მეტი სამეცნიერო შრომა.

1998 წლიდან დეპარტამენტი იმყოფება საქართველოს საპატრიარქოს თერაპიული კლინიკა (უპოვართათვის) და მისი განვითარების ფონდის ბაზაზე.

ამჟამად დეპარტამენტში მოღვაწეობენ: დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, რევაზ თაბუკაშვილი; ასოცირებული პროფესორები: ვერა კაპეტივაძე და ია ავალიანი; ასისტენტ-პროფესორები: ნინო გეგეშიძე, ხათუნა ჭაავა და მარინა ყუფარაძე; ლაბორანტი თამარ ლაზაშვილი; მოწვეული პედაგოგები: მედიცინის დოქტორი, ნინო კანდელაკი, ექიმები: ზვიად მაღლაფერიძე, თამილა სილაგაძე და ნინო ლეკვეიშვილი.